## ლიდერი მასწავლებელი

## USAID/BEP საბაზისო განათლების პროგრამაში მიღებული ცოდნის გაზიარება კოლეგებისთვის

2020 წლის ოქტომბრიდან, დღემდე ჩართული ვარ USAID/BEP საბაზისო განათლების პროგრამაში, რომელიც ხორციელდება *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა* და *სპორტის სამინისტროს* და USAID-ის თანამშრომლობის ფარგლებში და ითვალისწინებს, განათლების რეფორმის "ახალი სკოლის მოდელის" მხარდაჭერას, მასწავლებლების მომზადებისა და პროფესიული განათლების ხელშეწყობას და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას სრულიად საქართველოს სკოლებში.

როგორც ლიდერი მასწავლებელი, მოწოდებული ვარ ჩემი წვლილი შევიტანო მასწავლებელთა საქმიანობის გაუმჯობესებაში. ვფიქრობ ვარ კომუნიკაბელური, მეგობრული, დეტალებზე ორიენტირებული ადამიანი, რომელიც მუდამ ღიაა ინოვაციების მიმართ.

ჩემი, როგორც ლიდერი მასწავლებლის ერთ-ერთი ფუნქციაა ხელი შევუწყო მასწავლებელთა საგნობრივი (მათემატიკა ან ქართული ენა და ლიტერატურა) სასწავლო ჯგუფის ამოქმედებას, მოვიწვიო დაწყებითი კლასების აღნიშნული საგნების მასწავლებლები საორიენტაციო შეხვედრაზე და გავაცნო მათ პროგრამის მიზნები და საქმიანობა.

სწორედ, რომ ეს ჩანაწერი ერთ-ერთი შეხვედრაზეა ჩაწერილი, სადაც კოლეგებს გავუზიარე პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნა და გამოცდილება დიფერენცირებულ მიდგომებსა და რემედიაციის შესახებ. გავაცანი და დავეხმარე წევრებს პროგრამის პორტალზე https://chemiskola.emis.ge/-ზე რეგისტრაციაში, ასევე, პორტალის გამოყენებასა და ნავიგაციაში; პორტალზე განთავსებული მასალები საკმაოდ საინტერესო, ხელმისაწვდომი და ეფექტურია საგაკვეთილო პროცესში, რაც ზრდის მოსწავლეების და პედაგოგების მოტივაციას. კოლეგებს მოეწონათ შეთავაზებული სიახლეები და ისურვეს მსგავსი შეხვედრები უახლოეს ხანში კიდევ დაგვეგეგმა. როგორც ამ შეხვედრის ერთ-ერთი ორგანიზატორი კმაყოფილი დავრჩი კოლეგებთან თანამშრომლობით, Microsoft Teams-ის გამოყენებით ყველასთვის მოსახერხებელი და მისაღები დრო იქნა შერჩეული. კოლეგები აქტიურად ჩაერთვნენ სამუშაო ფორმატში. მაქსიმალურად მოხდა მათი რეგისტრაცია პორტალზე, სადაც გაეცნენ სხვადასხვა სახის რესურსებს, რომელსაც გამოიყენებენ საგაკვეთილო პროცესში. ვფიქრობ, შეხვედრამ ნაყოფიერად ჩაიარა. ვინადიან ჩემი კოლეგები მზად არიან მიიღონ სიახლეები, რაც მათ გამოადგებათ სწავლა-სწავლების უკეთ დასაგეგმად და განსახორციელებლად.

მსგავის ტიპის არაერთი შეხვედრა მოვაწყვე კოლეგებთან და შესაბამისი დამადასტურებელი ოქმებიც ატვირთულია პორტალზე. ვფიქრობ შეხვედრებზე გაზიარებული ინფორმაცია პედაგოგებს დაეხმარათ და ეხმარებათ საგაკვეთილო პროცესების დაგეგმვაში, რაც ნათლად გამოჩნდა მათ მიერ ჩატარებულ გაკვეთილებში.

ორი წელია ჩვენს სკოლაში ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქართული ენისა და ლიტერატურისა და მათემეტიკის პედაგოგების (I-VI კლასებში დასწრება) გაკვეთილებზე დასწრება, აღნიშნული პროგრამის წარმომადგენელების მიერ. დასწრებები დაიწყეს ლიდერ მასწავლებლების გაკვეთილზე შესვლით. ჩავატარე სამი გაკვეთილი, რომელიც შემიფასდა დადებითად, მომცეს სიტყვიერი უკუკავშირი და როგორც დაგვპირდნენ წერილობითი პასუხი უახლოეს ხანში აიტვირთება ბაზაში. პირველ ეტაპზე მოხდა ჩემი გაკვეთილის ჩატარება და გარჩევა მასწავლებელთა დაკვირვებისა და მენტორობის პროგრამის TOMP - ის წარმომადგენლების მიერ. როგორც ლიდერმა მასწავლებელმა ვითავისებ რა საკუთარ პასუხისმგებლობას კოლეგების წინაშე გადავწყვიტე მიღებულ სიტყვიერ უკუკავშირზე, ჩემს იერ ჩატარებული გაკვეთილის სუსტ და ძლიერ მხარეებზე მესაუბრა, რისთვისაც მოვიწვიე პედაგოგები და დეტალურად განვიხილეთ გაკვეთილის შეფასების თითოეული პუნქტი. აღნიშნულმა შეხვედრამ მასწავლებლებში გამოიწვია დიდი მოწონება, მათ აღნიშნეს, რომ შინაგანი ღელვა, რაც ახლავს უცხო პირის გაკვეთილზე დასწრებას ამ შეხვედრამ გაუნელათ. ჩემი ინიციატივით მივედით ერთობლივ გადაწყეტილებამდე, რომ თითოეული მასწავლებლის გაკვეთილის განხილვა მოგვეწყო, რომელსაც ისინი ჩაატარებდნენ დამკვირველის თანმხლებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენმა შეხვედრებმა, საუბრებმა, ინფორმაციის გაზიარებამ და კოლეგიალობამ შედეგი გამოიღო. რისი თქმის საფუძველსაც მაძლევს ის გარემოება, რომ ყოველი მომდევნო გაკვეთილი, რომელის განხილვაც ხდებოდა იყო უკეთესი წინაზე, გამოსწორებული იყო ის ხარვეზები, რაც ფიქსირდებოდა პირველ გაკვეთილებზე და ამას აღნიშნავდნენ მასწავლებელთა დაკვირვებისა და მენტორობის პროგრამის TOMP - ის წარმომადგენლებიც.

როგორც, ლიდერი მასწავლებელი მზად ვარ დავეხმარო თითეულ პედაგოგს საკუთარი საქმიანობის უკეთ წარმართვაში. უკვე მესამე წელია ჩართული ვარ USAID/BEP საბაზისო განათლების პროგრამაში, როგორც ,,ლიდერი მასწავლებელი“ და ამ წლების მანძილზე საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე კოლეგებთან თანამშრომლობით. სისტემეტიურად ვუზიარებდი და ვუზიარებ მათ ტრენინგებზე მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას, რისთვისაც მაქსიმალურად ვიყენებ team-ის პლატფორმას და უმეტესად ვმართავდი და ვმართავ ონლაინ სამუშაო შეხვედრებს, შევქმენი ჯგუფი და წევრებისთვის ხელმისაწვდომა ყველა ის ფაილი, რომელსაც ვიღებ USAID-ის ტრენერებისგან.